

# სასალონი ზაფხული

## სურათებიანი დამატება


გაზეთის № 15.

კვირა, 23 მაისი 1910 წ.

დამატების № 2

### ბაჭკრიჭმს!

სოფელი ბარდიანი, სადაც ილო ხორბალაძე მასწავლებლობდა, გაშენებულია მივარდნილ გორაკების ფერდობზე. სოფელი პატარაა, ულაზათოდ გაფანტული და მიუდგომელი, მაგრამ პატარძალივით, მორთუ-მოკაზმულ ბუნებით თვალწარმტაცად შემკული. აქაური მოჩუხჩუხე წყაროებით და მიხვეულ-მოხვეულ ღეღეღებით დასერილი წალკოტი, სხვა და სხვა სურნელოვან მცენარეებით და ხეხილებით დაფენილი, უზარმაზარ, ხელოვნურად გაშენებულ ბაღს მოგაგონებს: დასავლეთით მოსჩანს ჰორიზონტზე რგოლივით გაწოლილი შავი ზღვა, ხან ცხვარივით მშვიდი და გულჩათხრობილად მოდუნებული ხან კი საშიშრად აზვირთებული და მქუხარე. აღმოსავლეთით ბარდიანს სდარაჯობენ ამაყად აზიდულ მთის მწვერვალები, ხან თოვლიან-ყინულიანი და მოსაწყენად დაღვრემილნი, ხან კი ხავერდივით რბილი და მიმზიდველად ამწვანებულნი. სასკოლო შენობა, უზარმაზარ დაპოსქებულ ჩონჩხის მგზავსი და დროთა-ბრუნვის გამო ულაზათოდ გადაზნექილი, ზევიდან გადმოჰყურებს სოფელს. სკოლაზე ცოტა მოშორებით, ალვის ქეებიტა და აკაციებით დაბურულ ეზოში მოსჩანს სასოფლო სამმართველო, მწვანედ შეღებილი ფანჯრებით და დახავსებულ სახურავით. სამმართველოს ეზოში თითქმის ყოველ-ღღე ფუსფუსებენ საქმისთვის მოსული სოფლელები. დრო-გამოშვებით აივანზე სასეირნოდ გამოდის ბატკანივით ჩასუქებული, ქალარა შერთული მამასახლისი. მამასახლისის დანახვაზე სოფლელები



კოკო. — ტულატი ბუნების წიაღში.

სწორდებიან, ახლოდ მოსულები სხსტიკ უფროსს მოკრძალებით სალამს აძლევენ და შემდეგ ისევ დაუსრულებელ ლაპარაკში ერთობიან.

თითქმის ყოველ-ღღე, ცაკვეთილების შემდეგ საგრძნობლად დაღლილი, მაგრამ საკმაოდ მზიარულათ და იმედებიან აღქურვილი ილო სამმართველოს ეზოში ჩნდებოდა, — თვითეულ სოფელს ძმურ სალამს აძლევდა, შემდეგ თამბაქოს უკიდებდა და ალვის ხის ჩრდილში ჯდებოდა. — სოფლელები ფეხ-აკრფით ილოს გარშემო იკრიბებოდნენ, სალაპარაკო თემას ირჩევდნენ და გულ-წრფელი ბასი იმართებოდა.

— გაზეთში რა არის ახალი?... — სათათბიროდ რა იმის?... — მთავრობის მამასახლისის როდის მოგვაშორებენ თუ იცი? — ცნობის-მოყვარეობით ეკითხებოდნენ სოფლელები. ილო შეძლების-დაგვარად ცდილობდა ყველა კითხვაზე ეპასუხნა; ჯიბიდან გაზეთს ამოაძვრენდა და საგულისხმო ამბებს უკითხავდა, უცნობ სიტყვებს აუხსნიდა და ამა-თუ იმ საკითხზე საკუთარ ჯაზრსაც გამოსთქვამდა. — ხან-და-ხან ლაპარაკში მამასახლისიც ჩაერეოდა; მაშინ ილო წითლდებოდა, თავს უკმაყოფილოდ აქნევდა და სალაპარაკო თემას სცვლიდა. —

სოფლელები კარგის თვლით უყურებდნენ ილოს; — მოსწონდათ იმისი გულწრფელობა და მშვიდი ხასიათი.

„— გამოცდილება რომ არ აკლდეს, ძმავ, ჩინებული მასწავლებელი გვყავსო!“ ხშირად ამბობდნენ სოფლელები. ილო მართლაც გამოცდილი ახალგაზრდა იყო. — სამსახური ახლოდ დაწყებული ჰქონდა და ცხოვრების ავ-კარგი

წიგნებიდან უფრო იცოდა, ვიდრე გამოცდილებით.—მაგრამ ჰკუთის სიმახვილედ მოსაწონი ჰქონდა; წაკითხულს და გაგონილს ადვილად ითვისებდა და მსჯელობაში ხშირად გამოცდილებას აქარებდა.—თავის გამოჩენა კი იმდენად არ უყვარდა.—თავის შეცდომას თუ შეამჩნევდა, უთუოდ დასთმობდა.

ილო მეტად მოხდენილი შეხედულობის ახალგაზრდა იყო.—საკმაოდ მაღალი, შავფერმანი და ტკბილად მოსაუბრე ილო პირველ გაცნობისთანავე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა. ყურადღებას იქცევდა აგრეთვე იმისი ხავერდითი რბილი და მოხდენილად დავარცხნილი ხუჭუჭი თმა, რომელიც ბეჭებამდის სწვდებოდა.—სოფელს დედაკაცებს თვალები რჩებოდათ ილოს თმაზე და ხშირად ამბობდნენ:—ჩვენი მასწავლებელი რომ ქალად გაჩენილიყო, მართალი იმისი თმა მამაკაცებს თავბრუს დაახვევდაო. სოფელში მეტ სახელად ილოს „ქოჩოკას“ ეძახდნენ, არა პაროვენების დამამკირებელ მნიშვნელობით რასაკვირველია.

ერთხელ ილო ჩვეულებისამებრ სამმართველოს ეზოში იჯდა და გაზეთს კითხულობდა.—ილოს მახლობლად რამდენიმე სოფელის მხარ-ათეძოზე წამოწოლილიყვნენ და გულდასმით უსმენდნენ. გაზაფხულის წყნარი და სასიამოვნო საღამო იყო. დღის მნათობი ზღვის ტალღებში სთვლემდა და უკანასკნელი სხივები საამურად ცის მოწმენდილ კაბადონს ეაღვრებოდნენ.—ჩიტების მთიარული ჟავილ-ხივილი, ყანიდან დაბრუნებულ დამაშვრალ სოფელთა ლაპარაკი და ძაღლების მოუსვენარი ყეფა-წყმუტუნი ერთმომოვან გუბუნით ავსებდა ჰაერს. ქუჩიდან ცხენების თქარა-თქური მოისმა და სამმართველოს ეზოში დარაჯების თანხლებით მოულოდნელად გაჩნდა სასტიკი სახის ბოქაული. ბოქაულის დანახვაზე სოფელები ფიცხლავ წამოდნენ და მოკრძალებით საღამო მისცეს. სოფელებს ილომაც მიჰაბა. სამმართველოდან ქშენით გამოვიდა მამასახლისი და მოსულებს მიესალმა. ბოქაულმა მათრახი შეათამაშა, ცხენი მოატრიალა და ილოს მიუახლოვდა. თქვენ ბრძანდებით?—უკმეხად იკითხა ბოქაულმა და თვალები ილოს მიაშტერა. ადგილობრივი მასწავლებელი ვახლავარ, ბ-ნო ბოქაულო... მიუგო ილომ.

— მასწავლებელი... უკაცრავად... სცდებით!... თქვენი სახე სულ წინააღმდეგს ამტკიცებს... თქვენ მასწავლებელი კი არა, აგიტატორი ბრძანდებით, გესმის... აგიტატორი!.. დაიღრიალა ბოქაულმა.

აგიტატორი რომ ვიყო, განა აქ ვიქნებოდი?... თუ არ გჯერათ, პასპორტი ინებეთ და დარწმუნდებით რომ სიმართლეს ვამბობ, სთქვა ილომ და ცალი ხელი ჯიბისაკენ წაიღო.

— პასპორტი... თქვენისთანა ვაჭებატონები თავისთავად აკეთებენ პასპორტებს... ეს თმა, აბა მითხარით, რის მაქნისია ეს თმა, ოფოფივით რომ მოგიშვიათ... გიბრძანებ ეხლავ, ამ წუთში გაიკრიკო, დიახ, ძირში გაიკრიკო, თორემ...—ბოქაულმა ისე ღონივრად გააქნია მათრახი, რომ ილოს მთელს სხეულში ჟრუანტელმა გაუბრინა.

— ამ წუთში, სხვა რომ არ იყოს, დალაქიც არ იშოვება, ბ-ნო ბოქაულო!..—ძალდატანებულ ღიმილით სთქვა ილომ და საჩქაროდ მოკეცილი გაზეთი მალულად ჯიბეში ჩააძვრინა.

— მაშ როგორ, წინააღმდეგობას მიბედავ?... ბ-ნო მამასახლისო, სირცხვილია, რომ ყურადღება არ მიგიქცევია მაგ ლაპარაკისათვის... გთხოვთ შემდეგში ასეთი შემთხვევა არ განმეორდეს... თუ თავის ნებით არ გაიკრეკს, მაცნობეთ... აუცილებლად მაცნობეთ... მაზრის უფროსს მოვახსენებ... ციმბირში ამოვაცოფინებ თავს მაგ ლაწირაკს, მაგას!

ამ სიტყვებზე ბოქაულმა ცხენი შეატრიალა, მამასახლისი გაიყოლა და სოფელში წავიდა.

დიდხანს იდგა ილო უძრავად. ცივ ოფლს იწმენდდა. გული აჩქარებით უცემდა. გულ-ნატყენი სოფელები შემოეცალნენ და თავისათვის წავიდნენ. თავ-ბრუ დახვეულმა გასწია სკოლისკენ. ზანტად შეაბიჯა ოთახში, სანათი აანთო და მაგიდას მიუჯდა. გასასწორებელ რვეულების გროვას ზიზღით შეხედა, სანათი ხელმეორედ გაასწორა და ამოიხარა.

— არა, მძიმე, მეტად მძიმე ხელობაა მასწავლებლობა, ფიქრობდა ილო. მთელი დღე უვიც ბავშვებთან რახუნე... მარტოობა... სიმშლია და მისთან კიდევ, მადლობის ნაცვლად, საშინელი დამკირება... მიწასთან გასწორება. კიდევ კარგი რომ არ გამამათრახა ვინ დაუშლიდა. ეჰ, მძიმე, მეტად მძიმე ხელობა მაქვს დაკისრებული... მაგრამ თავს კი... დაე გადამასახლონ... დაე საკანში ჩამამწყვდიონ სხვისი ნებით. თავს კი ვერ გავიკრეკ...  
II.

რამდენიმე დღის შემდეგ სოფ. ბარდიანის მამასახლისმა მაზრის უფროსისაგან შემდეგი შინაარსის მოწერილობა მიიღო:—მოგიწერ დღესვე დაატყვევო და წარმომიდგანო მასწავლებელი ილო ხორბალაძე... არამც-და-არამც ცხენით წამოსვლის ნება არ დართოთ.

— მეტი ღონე არაა, სისრულეში უნდა მოვიყვანო მოწერილობა!.. რა უშავდა მაგ ოჯაკორს სრულებით არ სჩვენებოდა ბოქაულს!.. ჩაილაპარაკა მამასახლისმა, მოწერილობა რომ ჩაიკითხა, იარაღი შეისხა და დარაჯების თანხლებით სკოლისაკენ გასწია. მეცადინეობაში ვართუღმა ილომ მხოლოდ მაშინ შეამჩნია მამასახლისი, როცა ამ უკანასკნელმა სკოლის კარები შეაღო და ჩაახველა.

— რას გვიბრძანებთ? გოცებით იკითხა ილომ, დღის თაროზე ცარცი დასდო და მოულოდნელ სტუმრებს თავი დაუკრა:

— ცოტათი არა სასიამოვნო მოწერილობა მოვიდა თქვენს შესახებ, მაგრამ ნუ შეგეშინდებათ, ალბად შეცდომით მოუვიდათ!..—დამშვიდებულად უპასუხა მამასახლისმა; გულში კი გააფიქრა: საცოდავი, რა უდანაშაულოდ ისჯება!..

მხოლოდ ეხლა მოაგონდა ილოს ბოქაულის მუქარა. თვალის დახამხამებაში ფერი ეცვალა; ხელები გაუჩერდა. როგორ, მატყუებენ?...—აკანკალებული სმით იკითხა.

— დიახ, ჩემო კარგო, მოწერილობის ძალით ამ წუთიდან დატყვევებული ხართ... დღესვე უნდა გამოეცხადოთ მაზრის უფროსს, მიუგო მამასახლისმა.

არა უშავს რა, აქ მეცადინეობას ისევ სატუსაღოში ჯდომა სჯობიან!—გულნატყენად წაიბუბუყა ილომ და დარაჯებს გადახედა, რომელნიც იმდენად მიუახლოვდნენ, რომ ილომ მოუფიქრებლად ნაბიჯი უკან გადასდგა.

— აბა, ნუღარ ვგვიანოთ, წავიდეთ!.. სთქვეს დარაჯებმა.

— თქვე კაი კაცო, დამაცათ ცოტა, ცხენს მოვაყვანინებ შინც—უპასუხა ილომ.

— საუბედუროდ ცხენით წასვლა არ შეიძლება... მოწერილობას ვერ დავარღვევთ!.. სთქვა მამასახლისმა.

— კარგი, მაგრამ მე ავადმყოფი კაცი ვარ, 25 ვერსტს ფეხით ვერ გავივლი!

— ჰა, კმარა ცერემონიები, მაშ!..—გააწყვეტინა რუსულად ერთმა დარაჯმა. ჟყვეს კარი უჩვენა.

შვიდობით, ბავშვებო, შეგიძლიათ სახლში წახვიდეთ!..—სთქვა გულ-აჩუყებულმა ილომ და მოწაფეებს გადახედა, რომელნიც შეშინებულად იცქირებოდნენ და ატირებას ცოტა უკლდათ.—შემდეგ კედლიდან ქუდი ჩამოიღო, უკანასკნელად მიიხედ-მოიხედა გარშემო და დარაჯებით გარ-შემორტყმული გზას გაუდგა.

III.

დღემიწა წყვილიაღმა მოიცო, როდესაც საშინლად დაღლილი და იმედ დაკარგული ილო ქალაქს მიუახლოვდა.

აქა-იქ მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავებმა გამოანათა. სადღაც შორს მწუხრის ხარს შემოჰკრეს. ხარის შევეთრი და სათნოების აღმძვრელი ხმა ერთად შექუჩდა და ისარივით გასარილდა ჰაერში, თითქოს დუხჭირ ცხოვერვის ნაშხეფები ჯურღმულში გაიტაცაო.

ილო ძალ-დატანებით მიაბიჯებდა ქვიშიან ქუჩაში; მთელს სხეულში, თითქო ძვლები ერთმანეთს მოშორდაო, საშინელ ტკივილს გრძობდა. ქუჩის პირას ანთებული ფანრები, გამვლელ-გამომვლელნი და ბნელით მოცული შენობები უფერულ წერტილებად ერთმანეთს ექსოვებოდნენ და ილოს ტანჯვას უორკეცებდნენ. ილო ბოქაულის კანცე-

ლარიაში მიიყვანეს. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ ბოქაულიც მოვიდა, დამცინავი სახით ილოს ახედ-ჩახედა, რამდენიმე უკმეხი სიტყვა უთხრა, დარაჯებს დაბეჭდილი კონვერტი გადასცა და მაზრის უფროსთან გაისტუმრა. ძლივს მიიღწიეს უფროსის სახლამდის. დაურეკეს. — „დაიცადეთ!.. ბატონი ჩაის მიირთმევს!..“ — სიტყვა მსახურმა. ტყვე დერეფანში შეიყვანეს.

— საკანში ჩამამწყვდევენ... გადამასახლებენ, ფიქრობდა ილო. მუხლები თან-და-თან უსუსტდებოდა; რომ არ დაცემულიყო, დერეფნის კედელს ეყრდნობოდა.

— შემოიყვანეთ! როგორც აყო მოისმა ოთახიდან. დარაჯები დამწყრივდნენ, კარები ნელა გაიღო და ილომ თავი ამოჰყრო მდიდრულად შორთულ და გაჩირალდებულ კაბინეთში.

— რა სასიამოვნო იქნება ამ ოთახში მოსვენება!.. ნეტავ ჩამოჯდომის ნებას მომცემდნენ! გაიფიქრა ილომ და მაზრის უფროსს შეხედა, რომელიც საწერ სტოლს უჯდა და რაღაცას კითხულობდა.

— თქვენ ბრძანდებით მასწავლებელი ხორზალაძე? ცოტა სიჩუმის შემდეგ იკითხა უფროსმა და ტყვეს სათვალეებს ქვეშიდან შეხედა.

— დიახ, ბ-ნო მაზრის უფროსო! უპასუხა ილომ და სალამი მისცა.

— დაბრძანდით, ხომ არ დაიღალეთ? — ღიმილით სიტყვა უფროსმა და პაპიროსს აუკიდა. უფროსის მოულოდნელმა თავაზიანობამ ილოს შვება აგრძობინა; ღონე მოიკრიფა და წელში გასწორდა.

— ჰაი, ჰაი, რომ დავიღალე... უსამართლოდ მომეპყრენ და...

— როგორ თუ უსამართლოდ. — რას ამბობთ?

— ისე, ბ-ნო, რომ ნება არ მომცეს ცხენით წამოგსულიყავ... მე როგორც უდანაშაულო და მასთან ავადმყოფი კაცი, ვფიქრობ, რომ ასე სასტიკად მოპყრობის ღირსი არ ვიყავი!

— სამწუხაროა, სწორედ სამწუხარო!.. აბა, დაწვრილებით მომიყევით... დარაჯებმა ხომ არ შეურაცხვეს... ესე

იგი, მე ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს ყველაფერი გაგივლიო... ასე-ვსიტყვათ... თქვენ ჩინებული თმა გქონიათ, ბ-ნო მასწავლებლო... ალბად ქალებს გაგიუფებთ მოსწონხართ... ხე... ხე... ხე... მაგეთი თმა რომ გქონდეს!.. — აღარ დაათვა უფროსმა და ჰაერში ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაუშვა ბოლი.

— საქმე ცუდადაა... დამცინის!.. — გაიფიქრა ილომ; — ტანში წინანდელზე მეტი სისუსტე იგრძნო და ნაკბენივით მოიკრუნჩხა.

— ივან, ა, ივან, აქ მოდი ჩქარა!.. — გაისმა უფროსის ძახილი.

— მესმის თქვენო მაღალკეთილშობილებავ, მზადა გახლავარ! მოისმა მეზობელოთახიდან, წუთის განმავლობაში ოთახში გაჩნდა ახოვანი მოყვანილობის, წითელ ულვაშებიანი ჯარის კაცი, მაკრატლით ხელში.

— აბა, ბ-ნო მასწავლებლო, მოემზადეთ... უნდა გაგკრიკოთ! ღიმილით სიტყვა უფროსმა და ილოს სკამი უჩვენა.

— ნება მიბოძეთ, ბ-ნო უფროსო!.. მე ჩემით... ესე იგი, დალაქთან!..

— დალაქთან!.. ხა... ხა... ხა... როგორ თუ ჰბედავ წინანდელგობას... მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა თმის მოშვება... ჯერ კიდევ ავიტატორის სუნი ავლით მასწავლებლებს... მაგრამ მე მოვსპობ თქვენში მაგ სუნს... მე არ მოგცემთ ნებას, რომ გარყვნილება შეიტანოთ ხალხში... 24 საათში სამშობლოდან გაგაძევენ შე ლაწირაკო, შენა!..

ილოს ენა წაერთვა, თვალებში დაუბნელდა და ინსტიქტიურად სკამზე დაეშვა. ჯარის კაცმა ყურთამაჯი წაიწია, ღონიერი მკლავები ტყვეს მოჰხვია და მუჯლუგუნით თავი გაუსწორა. გაისმა მაკრატლის ჩხარა-ჩხური.


— აბა, ივან, ძირში, რამდენადაც შეიძლება ძირში გადაჰპარე მე ლაწირაკს, მაგას! ბრძანებას იძლეოდა უფროსი, პაპიროსს აბოლებდა და თითებს იმტვრევდა.

ილო ჯარის კაცის ფოლადივით მაგარ მკლავებში ძლივს დასუნთქავდა, უფროსის მწვავე სიტყვები რახარუხად ესმოდა და თავს უაზროდ აკანტურებდა.

— მზადა, თქვენო მაღალკეთილშობილებავ! მოახსენა ჯარის-კაცმა, პარსვა რომ გაათავა, წელში გასწორდა და ტიტველი თავის დანახვაზე მალულად ჩაიციხა.

— ყოჩაღ, ივან, საუცხოვო დალაქი ყოფილხარ! მოუწონა უფროსმა.

— р-радь стараться! გაავსო ოთახი ჯარის-კაცის ბოხმა ხმამ.



ინგლისის პრემიერ მინისტრი ასპიტი ქვედა პალატაში, ახალი მეფის მანიფესტით, რომელიც ედუარდ VII გარდაცვალებას ამცნობს.

— აბა, ბ-ნო მასწავლებლო, ეხლა შეგიძლია მიპრძანდე.—სრული ნება გაქვს ცხენით ან ეტლით გაისეირნო სოფლისაკენ!..

ილო ძლივს წამოდგა, იატაკზე დაეარდნილი ქუდი აიღო, ცალი ხელი თვალეზზე მოიფარა და ბარბაცით გავიდა.

მეორე დღეს ქალაქის მცხოვრებნი სიცოლით უამბობდნენ ერთმანეთს, როგორ გაჰკრიკეს მასწავლებელი ხორბალაძე,—ილო კი ლოგინში იწვა, თავზე ცივი ტილო ედო და ფიქრობდა:—როგორ გამოვიჩნდე ტოლ-ამხანაგებში...

ი. წუწუნავა.



„პარიზის სონეტებიდან“

(დასახრული\*)

VI. ცბიერი კოცნა.

ჩვენი ბაასი ესოდენ ტკბილი, წმინდა წყაროსებრ გადმომდინარე, ხან ამოხვენეშა გულ-ამოსკვნილი, ხან აღტაცება თვალეზ-მცინარე; ურთერთის მხარზე თავ-გადახრილი, ტრფობის მფიცავი ბაგე მდიმარე, ჩემს ხელში შენი თიჯები თლილი და მზერა შენი მოსხივეცისკარე; და ბოლოს ერთი მოხვევნა შევებით— გრძობით ვნებული უმანკოება— და ერთი კოცნაც თავ-დავიწყებით!— რათ იყო ყველა ეს სიტკბოება თუ მეორე დღეს მთლად სასოება წარმეკვეთოდა შენის ცვლილებით?

VII. ვ. ტ—ს.

ბნელოდა... შენი ალერსი მსურდა, გადაგიშალე ობოლი გული, ვით ყვავილს კვარი, ისე მომწყურდა შენი ტრფიალი დაამებული. შენ-კი, ცბიერო, თურმე შეგშურდა, ეს გრძობა წრფელი, აღტაცებული, რადგან შენს მკერდში კვლავ აღარ ჰხურდა გული ქვად-ქმნილი, გაცივებული. ქვასაც დასწვავდა ჩემი წუხილი, და შენ-კი... დამრჩი გამოცანადა, ვით შავი ბედი, ქვეყნის დუმილი. მოგშორდი სასტიკს ნაღვლიანადა, გადმომსკდა თვალ-გან კრემლის დუდილი, და მაშინ ცამაც გადმომანათა...

VIII. კოლხიდის ასულს.

შენ ხარ მერცხალი, ლალად მფრინავი, ტკბილ გაზაფხულის მახარობელი, ვინძლო გვაუწყო ამო ამბავი, თუ როგორ სცოცხლობს მხარე მშობელი! შენი გიშრის თმა და თვალი შავი, კოლხიდის ღამის გამომკრთობელი, და სახე შენი, სანდოთ მბრწყინავი, ტურფა ბუნების შემამკობელი,— თითქოს მიმღერის ნაცნობის ხმითა პონტის შხუილსა, ფაზისის ჩხრიალს, გამაცოცხლებელს გიჟურ ტალღითა;

\*) იხ. სურათებიანი დაბატება № 1.

თეთრ აკაციით საამურს შრიალსკრინულნი თან მაგნოლიებს ირგვლივ ბალითა, და გულის სიმი მოჰყვება წკრიალს...

IX. ს. ზ—ს.

„აქ სიცოცხლე სდულს, აქ მშვენებაა!“— ამბობ, ძვირფასო, აღტაცებითა. და შენს სახეზე სიყრმის შვეება გამოხატული სხივონებითა. შენთვის შიგ ჩაბმა ნეტარებაა, ჩემთან ხელის-ხელ ჩაკიდებითა, როცა მუსიკის ხმა და გზნებაა, ერთობი თავის დავიწყებითა. და მეც მოგყვები. ბეჩავი გული ვითომც ნაღველსა იხშობს წამითა, ვითა ნაკადი დაგუბებული. მაგრამ შენიშნე, ჩემად ღამითა კვლავ ვით გადმომხეთქს აკვნესებული და მომდინარებს სევდის შხამითა.

X. შემოდგომის ფოთლები.

მხმარი ფოთლები მსუბუქ შრიალით ერთი მეორეს ეჩურჩულება, მწყობრი წაბლნარი ტოტთა ტრიალით მწუხარე სალამს მათ ეუბნება. ხმა იღუმალი იმის კრიალით, მტრედი მეგობაჩს ელულუნება. მგლოვიარე ბაღს ნაზის ტრფიალით იგი ხმა ამოდ ესალბუნება. მსგავსადვე სცვივით, უდროოდ მკვდარნო, ოჰ, ოცნებანო, ჩემნო დამტკბარნო, რაღას მიტოვებთ ნუგეშ საცემლად? ცალიერს ბაღსა ვუცქერდ დუმილით, და თქვენს სახსოვარს ჩუმის წუხილით გამოვსთქვამ მხოლოდ დაფარულ კრემლად.

XI. მოგონება.

იქ მინდა ვიყო, სადაც ნათელი მზე დასტრფის მწვანე არე-მარეს, სადაც ხავერდათ ბიბინებს ველი, და ძეწნა შტოს სცემს მჩქეფს მდინარესა. იქ ფერდის პირად ქოხი სჩანს ძველი, ბალახ-მოსილი ირგვლივ მხარესა, ერთგული ძალლი წინუწევს მცველი, მოხუცი ქალი კრემლს ღვრის მწარესა. და მას ნუგეშს სცემს ტურფა ასული, თვითონაც ფიქრით შორსა წასული; გვერდით ადგილი ცალიერია... იქ მინდა ვიყო, მათი მხურვალე ალერსი თუ კვლავ გამათბობს მალე; თორემ ჩემს გულში ცივა, ბნელია!..

მელიტონ გობეჩია.

1909 წ.

